რა მოხდა აჭარის მაუწყებელში

10.04.2019-10.04.2020

რა მოხდა აჭარის მაუწყებელში

10.04.2019-10.04.2020

ავტორი:

ნიკოლოზ სიმონიშვილი

მარიამ გოგოსაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი:

სულხან სალაძე

მარიამ გოგოსაშვილი

დიზაინი:

მაგდა გუგულაშვილი

რედაქტორი:

ნინო ნარიმანიშვილი

სარჩევი

შესავალი 4

მოვლენათა განვითარება - ერთი წლის ქრონიკა 5

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება 10

ნათია კაპანაძის იმპიჩმენტი 10

გიორგი კოხრეიძის თანამდებობაზე დანიშვნა 13

მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განახლება 14

ნათია ზოიძის საქმე 15

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობის ცვლილება 16

თეონა ბაკურიძის ეთერიდან ჩამოშორება და გათავისუფლება 17

თეონა ხარაბაძის საქმე 17

დასკვნა 18

შესავალი

2019 წლის 10 აპრილს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის - ნათია კაპანაძისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების პროცედურა დაიწყო. ამ დღიდან ერთი წელი გავიდა და აჭარის ტელევიზიაში არაერთი სარედაქციო ცვლილება განხორციელდა, რითაც დადასტურდა ეჭვები, რომ ტელევიზიაში განვითარებული მოვლენები სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებას ისახავდა მიზნად.

ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარე ამბები და ახალი მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც ადგილობრივი, ასევე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მხრიდან, კრიტიკის საგანი გახდა.



ანგარიშში მიმოხილული იქნება აჭარის ტელევიზიაში ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე ამბები ქრონოლოგიურად, აგრეთვე, მოვლენების სამართლებრივი შეფასება.

მოვლენათა განვითარება - ერთი წლის ქრონიკა

აჭარის ტელევიზია, 2016-2018 წლებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული ორგანიზაციების მიერ, ფასდებოდა, როგორც „პროგრესული“ და „მიუკერძოებელი“, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ფასდებოდა, როგორც ხელისუფლების მიმართ დადებითად განწყობილი მედია.[1]

მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, **2019 წლის 19 აპრილს** აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს - ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა[2], რაც სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. ნათია კაპანაძის იმპიჩმენტის პროცესი არხის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკისთვის საფრთხის შემცველად შეფასდა.[3]

ნათია კაპანაძის გათავისუფლების შემდეგ, მრჩეველთა საბჭომ სამჯერ გამოაცხადა დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე არსებული კონკურსი ჩაშლილად[4], მეოთხე კონკურსი კი, მესამე კონკურსში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატის - გიორგი კოხრეიძის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ შეაჩერა[5]. სამოქალაქო საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ კონკურსის შეჩერება ემსახურებოდა დირექტორის არჩევას ახალი მრჩეველთა საბჭოს პირობებში.[6]

მას შემდეგ, რაც მრჩეველთა საბჭო პროცედურების დარღვევის ფონზე[7] არჩეული 3 წევრით (თამილა დოლიძე, სოსო სტურუა და თამარ წილოსანი) განახლდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კონკურსის შეჩერების შესახებ, ჩატარდა მეოთხე კონკურსი და **2019 წლის 22 ნოემბერს** აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორად გიორგი კოხრეიძე დაინიშნა.[8]

გიორგი კოხრეიძის არჩევის გამო, **2019 წლის 25 ნოემბერს**, აჭარის მაუწყებელი დატოვეს ზვიად ქორიძემ და მარინა ვაშაყმაძემ, რომელთაც აჭარის ტელევიზიაში კონსულტანტის პოზიციები ეკავათ. როგორც ზვიად ქორიძემ განაცხადა, მას არ სურდა ამ დირექტორის კონსულტირება.[9]

---

[1] საპრეზიდენტო არჩევნები (2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი), ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bU8iCM, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
„არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2016-2018“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bZTT8l, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[2] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება.

[3] „აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის იმპიჩმენტის საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმიანებიან“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RiQ6Lf, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[4] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება #01/01-05; სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება #01/01-11; სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება #01/01-18.

[5] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UJkZea, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[6] „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის აჭარის ტელევიზიის დირექტორის შერჩევის პროცესს ეხმიანება“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bQ24nq, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[7] „აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევის პროცედურები კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UK2dmM, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[8] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება #01/01-22.

[9] „რა ხდება აჭარის ტელევიზიაში გიორგი კოხრეიძის დირექტორად არჩევის შემდეგ“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UP7tpv, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

გიორგი კოხრეიძემ, დანიშვნიდან მცირე დროში, თავის მოადგილეს - ნათია ზოიძეს სარედაქციო პოლიტიკისგან ჩამოშორება მოსთხოვა, ტელევიზიის სხვა ჟურნალისტების მიმართ კი აგრესია გამოიჩინა.[10] დირექტორის განმარტებით, მოადგილეს არ ჰქონდა „სარედაქციო პოლიტიკის მართვის" უფლება, ამიტომ ხელშეკრულებიდან ეს პუნქტი ცალმხრივად ამოიღო.[11]

დირექტორს არ გაუმიჯნავს ერთმანეთისგან სარედაქციო პოლიტიკის მართვა და სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა. კანონით განსაზღვრულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი, სამართლიანი, მიუკერძოებელი, ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალი[12], სწორედ ეს უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაც, რაც მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, დირექტორის მოადგილისთვის სარედაქციო პოლიტიკის მართვის (და არა სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის) შესაძლებლობის მიცემა, ლეგიტიმურია.

ვადის გასვლის გამო, **2020 წლის 1 იანვრიდან** შრომის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა ნათია შავაძესთან, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურში მის მიერ დაკავებულ პოზიციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას თავად გიორგი კოხრეიძეც აღიარებდა.[13] თავად ნათია შავაძემ დირექტორის ეს გადაწყვეტილება შეაფასა მაუწყებლის მენეჯმენტის პოლიტიკის ნაწილად, რომელსაც იგი აქტიურად აპროტესტებდა და რომელთა შორის იყო ნათია ზოიძის ხელშეკრულების შეცვლაც.[14]

2020 წლის 24 იანვარს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების ნაწილმა მაუწყებელში ალტერნატიული პროფკავშირები დაარეგისტრირა.[15] აჭარის მაუწყებლის 65 თანამშრომელი საკუთარი უფლებების დასაცავად გაერთიანდა.[16]

2020 წლის 2 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ დირექტორის მოადგილე ნათია ზოიძე იძულებული იყო აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი დაეტოვებინა, რადგან, მისი თქმით, საქმის კეთების შესაძლებლობა არ ეძლეოდა.[17] აჭარის მაუწყებლის ალტერნატიულმა პროფკავშირებმა ნათია ზოიძის წასვლა სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის დამდგარ ფაქტად შეაფასა.[18] საერთაშორისო ორგანიზაციამ - „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ნათია ზოიძის წასვლა „პოლიტიკურ ზეწოლად" შეაფასა.[19]

---

[10] „თუ არ ჩამოვშორდები სარედაქციო პოლიტიკას, დირექტორი დევნით მემუქრება – ზოიძე", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2URORFb, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[11] „მაუწყებლის დირექტორმა ნათია ზოიძეს პუნტქი - "სარედაქციო პოლიტიკის მართვა" ხელშეკრულებიდან ამოუღო", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VcuDon, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[12] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლის 16, პირველი პუნქტი.
[13] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება ნათია შავაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
[14] „აჭარის მაუწყებლის პროდიუსერს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდა - საინფორმაციო სამსახური ნათია შავაძემ დატოვა", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RlnGjT, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[15] 2020 წლის 24 იანვრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო პირების რეესტრიდან B19146113.
[16] „აჭარის ტელევიზიის თანამშრომელებმა ალტერნატიული პროფკავშირები დააფუძნეს", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V2OLta, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[17] „ნათია ზოიძემ აჭარის მაუწყებელი დატოვა, მიზეზად სარედაქციო პოლიტიკიდან ჩამოშორება დაასახელა", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dXuBt7, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[18] „პროფკავშირები: ნათია ზოიძის წასვლა სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის დამდგარი ფაქტია", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2wXslwd, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[19] „ქართული ტელეარხის დირექტორის მოადგილე ზეწოლის გამო გადადგა", განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2wlJzbE, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

„საზოგადოება საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ – **2020 წლის 16 თებერვალს**, ბათუმსა და ქუთაისში, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მხარდასაჭერად, სოლიდარობის აქციები გამართა.[20] **17 თებერვალს** კი, თბილისში, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ორგანიზებით, ჩატარდა აჭარის მაუწყებლის ჟურნალისტების მხარდამჭერი აქცია.[21]

[20] „სოლიდარობის აქციები აჭარის ტელევიზიის მხარდასაჭერად - რა ხდება მაუწყებელში“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSV6Ox, ბოლო ვიზიტი 01.04.2020

[21] „სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს - თბილისში აქცია გაიმართა“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aYjhLm, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

2020 წლის 19 თებერვალს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ მხარი დაუჭირა დირექტორის მიერ წარდგენილ საშტატო განრიგს, რომლის თანახმადაც გაუქმდა სამსახურების უფროსების მოადგილეების შტატები. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციაში თანამშრომელთა სრული უმრავლესობა არ ყოფილა ინფორმირებული ცვლილებების თაობაზე და არ მომხდარა საკითხის სრულყოფილად შესწავლა, მრჩეველთა საბჭომ არ გაითვალისწინა შუამდგომლობები საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით და იმავე დღეს მიიღო გადაწყვეტილება.

ცვლილებების თანახმად, შტატების გაუქმებასთან ერთად, შესაბამის სამსახურებში გაჩნდა გაუქმებული შტატების ოდენობის სხვა თანამდებობები. თუმცა, სამსახურის უფროსის მოადგილეებისთვის ახალი შტატებით გათვალისწინებული პოზიციები არ შეუთავაზებიათ.[22] აღსანიშნავია, რომ საშტატო განრიგში შეტანილი ცვლილებების გამო, გათავისუფლდა მაია მერკვილაძე - საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილე და მთავარი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი. მას შესთავაზეს რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორისა და ახალი ტოქშოუს პროდიუსერის პოზიცია. მთავარი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის პოზიციაზე კი დაინიშნა პირი - ნინო ხაჟომია, რომელიც აჭარის ტელევიზიაში მანამდე დასაქმებული არ ყოფილა.[23]

საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანაც შეფასდა როგორც კონკრეტული პირების საინფორმაციო სამსახურისთვის ჩამოშორება და არხის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობა.[24]

ამავე წლის 21 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილედ, ნათია ზოიძის ადგილას, დახურულ სხდომაზე ვახტანგ ხუზმიაშვილი აირჩიეს.[25] მაუწყებლის თანამშრომლების განცხადებით, ხუზმიაშვილის არჩევასთან დაკავშირებით ინფორმაცია მანამდეც ვრცელდებოდა და მოულოდნელი არ ყოფილა.

2020 წლის 24 თებერვალს თბილისის ბიუროს ჟურნალისტმა ნინო ხოზრევანიძემ, უკიდურესი პროტესტის ნიშნად, სამსახური დატოვა. მისი განცხადებით, აღარ სურდა იმ მენეჯმენტის ხელმძღვანელობის პირობებში მუშაობა, რომელიც თავისუფალ სიტყვას ებრძვის, ანგრევს მაუწყებლის იდეას და რეგრესისკენ მიჰყავს მაუწყებელი.[26]

2020 წლის 28 თებერვალს სამსახურიდან გათავისუფლდა ახალი ამბების სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი. ამავე დღეს ცნობილი გახდა, რომ პოზიცია დატოვა ნინო ხაჟომიამ.[27] შორენა ღლონტის, ისევე როგორც მაია მერკვილაძის გათავისუფლება, პოლიტიკური ზეწოლის შედეგად მიღებულ

---

[22] „საია - აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა შეცვლის საფრთხის წინაშეა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JEF2Eh, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[23] „არ ვაპირებ ბრძოლის შეჩერებას“- მაია მერკვილაძე დირექტორის შეთავაზებას დათანხმდა“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aOglkr, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[24] „საია - აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა შეცვლის საფრთხის წინაშეა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dXStge, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[25] „აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილედ ვახო ხუზმიაშვილი დახურულ კონკურსზე აირჩიეს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ReRHBW, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[26] ნინო ხოზრევანიძის 2020 წლის 24 თებერვლის განცხადება.
[27] „აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი სამსახურიდან გაათავისუფლეს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e4biPd, 01.04.2020.

გადაწყვეტილებად შეფასდა ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ მიერ და ორგანიზაციის განცხადება გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ვებგვერდზეც.[28]

2020 წლის 2 მარტს აჭარის მაუწყებელში დაიწყო საგაფიცვო პროცესი. თანამშრომელთა ნაწილი აცხადებდა, რომ მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისარგებლებდნენ გაფიცვის უფლებით.

2020 წლის 4 მარტს აჭარის მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელად ნინო ხაჟომიას ადგილას გიორგი აბაზაძე დაინიშნა, რომელიც სოციალურ ქსელებში ჰომოფობიური და სექსისტური შინაარსის გზავნილებით გამოირჩეოდა.[29] მის დანიშვნას თანამშრომლების პროტესტი მოჰყვა.

2020 წლის 6 მარტს, გიორგი აბაზაძესთან დაკავშირებული ინციდენტის გამო, დროებით უფლებამოსილება შეუჩერდა ახალი ამბების წამყვანს - თეონა ბაკურიძეს.

2020 წლის 13 მარტს, თეონა ბაკურიძე, დირექტორის ბრძანებით, სამსახურიდან გათავისუფლდა.[30] **16 მარტს** კი ცნობილი გახდა, რომ თეონა ბაკურიძის ნაცვლად საინფორმაციო გამოშვებას ნაზიბროლა ქობულიძე წაიყვანს, რომელიც ტელევიზიაში აჭარის საგზაო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან გადავიდა.[31]

2020 წლის 23 მარტს ჟურნალისტი თეონა ხარაბაძე კორესპონდენტად ბათუმიდან ქუთაისში, ფაქტობრივად, არარსებულ ბიუროში გადაიყვანეს.[32] აღსანიშნავია, რომ თეონა ხარაბაძეც აქტიურად აპროტესტებდა მაუწყებლის მენეჯმენტის პოლიტიკას.

2020 წლის 24 მარტიდან, კორონავირუსის პანდემიის გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მიზეზით, გაურკვეველი ვადით შეჩერდა სოციალური გადაცემა „ჰეშთეგი“.[33] აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემის გუნდი მენეჯმენტისა და მრჩეველთა საბჭოს მისამართით კრიტიკული განცხადებებით გამოირჩევა, გარდა ამისა, გადაცემის ერთერთი წამყვანი მალხაზ რეხვიაშვილი მაუწყებელში შექმნილი ალტერნატიული პროფკავშირების თავმჯდომარეა. სწორედ ამ მოცემულობის გამო, გადაცემის გუნდი ფიქრობს, რომ „ჰეშთეგის“ „დროებით დახურვის“ უკან პოლიტიკური მოტივი იმალება.

---

[28] „აჭარის ტელევიზიიდან რამდენიმე ჟურნალისტი პოლიტიკური ზეწოლის შედეგად გაათავისუფლეს”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgl073, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[29] „აჭარის ტელევიზიის სარედაქციო დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა კვლავ საფრთხეშია“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JKhHRo, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[30] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 06 მარტის ბრძანება თეონა ბაკურიძისთვის უფლებამოსილების დროებით შეჩერების თაობაზე.
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 13 მარტის ბრძანება თეონა ბაკურიძის გათავისუფლების თაობაზე.

[31] „აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ნაზიბროლა ქობულაძე წაიყვანს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34by82I, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[32] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება.

[33] „#ჰეშთეგის საგანგებო განცხადება“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2wgDrkO, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული პროფკავშირის წარმომადგენლებმა, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უარი განაცხადეს გაფიცვის უფლებით სარგებლობაზე და სწორედ ამის შემდეგ გახდა ცნობილი გადაცემის დროებით შეჩერების თაობაზე.[34]

2020 წლის 3 აპრილს, ალტერნატიული პროფკავშირების სახელით გავრცელდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დირექტორის გადაწყვეტილებების გამო, მაუწყებლის საეთერო ბადე უკიდურესად გაღარიბდა. პროფკავშირების წევრები შეჩერებული გადაცემების აღდგენას ითხოვენ და პირობას დებენ, რომ აღდგენილ გადაცემებს საგაფიცვო მიზნებისთვის არ გამოიყენებენ.[35]

ზემოჩამოთვლილ პირთა უმრავლესობა სამართლებრივ დავას აწარმოებს.

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება

ნათია კაპანაძის იმპიჩმენტი

ნათია კაპანაძე 2016 წლის 24 ოქტომბერს აირჩიეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორად და უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2016 წლის 21 დეკემბრიდან.

2019 წლის 10 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა საბჭოს ორმა წევრმა (გიგა ჩხარტიშვილმა და ირაკლი დარცმელიძემ) და მოითხოვა, ნათია კაპანაძისთვის უნდობლობის გამოცხადების დღის წესრიგით, მრჩეველთა საბჭოს სხდომის მოწვევა.[36]

უნდობლობის გამოცხადების მიზეზად, ძირითადად, დასახელებული იყო შემდეგი საკითხები: სატელევიზიო რეიტინგების/ნდობის კლება; პრიორიტეტების შეუსრულებლობა; კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა; საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი და დაუსაბუთებელი ხარჯვა; დისკრიმინაციული და უსამართლო ანაზღაურების სისტემა.

2019 წლის 19 აპრილს მრჩეველთა საბჭომ განიხილა უნდობლობის საკითხი და ნათია კაპანაძისთვის უნდობლობის გამოცხადების და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მხარი დაუჭირა ოთხმა მრჩეველმა.[37]

---

[34] „აჭარა TV-ზე საინფორმაციო და სამედიცინო გადაცემების გარდა, სხვა ყველა შეჩერდა - „ჰეშთეგში“ ამბობენ, რომ ეს გადაცემის დახურვაა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bVMFSN, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[35] „აჭარის TV-ს ალტერნატიული პროფკავშირი შეჩერებული გადაცემების აღდგენას ითხოვს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2yvG2bg, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[36] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრების, გიგა ჩხარტიშვილის და ირაკლი დარცმელიძის 2019 წლის 10 აპრილის N02-19/789 განცხადება.

[37] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის #01-01/02 გადაწყვეტილება.

მრჩეველთა საბჭოს არ შეუსწავლია უნდობლობის გამოცხადების თაობაზე წარდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გადაწყვეტილება მიღებულია სათანადო გამოკვლევის გარეშე. ასევე, საკითხის განხილვისას მრჩევლები არც კი დაინტერესებულან იმ დოკუმენტაციით, რომელიც დირექტორს ჰქონდა წარდგენილი სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე დირექტორის მხრიდან არაერთხელ გაჟღერდა მზაობა ეპასუხა ნებისმიერ შეკითხვაზე და წარედგინა შესაბამისი მტკიცებულება, თუმცა მრჩეველთა მხრიდან არავითარი კითხვა არ ყოფილა დასმული.[38]

1. *სატელევიზიო რეიტინგების/ნდობის კლება* - ჩატარებული არ ყოფილა რაიმე სიღრმისეული კვლევა, რომელიც, კონკრეტულად, აჭარის ტელევიზიისა და რადიო აჭარის, ასევე, ონლაინ აუდიტორიის ნდობას განსაზღვრავდა. რაც შეეხება რეიტინგებს, არ არსებობს მათი დათვლის ერთიანი მიდგომა და, შესაბამისად, შეუძლებელია ზუსტი მონაცემების განსაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა არ მდგომარეობს რეიტინგის შექმნაში, ის სულ სხვა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და სწორედ ამ მიზნების შესრულებით უნდა შეფასდეს.

2. *პრიორიტეტების შეუსრულებლობა* - 2019 წლის 1 აპრილს გამოქვეყნებულ და აჭარის უმაღლეს საბჭოში წარდგენილ 2018 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ პრიორიტეტები შესრულებულია.[39] გარდა ამისა, საბავშვო და განათლებასთან დაკავშირებული გადაცემები მზადდებოდა და ეთერში უნდა გასულიყო მაისსა და ივნისში. შესაბამისად, კალენდარული წლის განმავლობაში ესწრებოდა პრიორიტეტების სრულად შესრულება.

3. *კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა* - უნდობლობის საკითხის დაყენების ერთ-ერთი ინიციატორის განცხადებით, მას კომუნიკაცია ჰქონდა გადაცემის წამყვანთან და სთხოვდა კონკრეტული გადაცემის მომზადებას. ეს კი წარმოადგენს სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას და ასეთი ტიპის კომუნიკაციის აკრძალვა პასუხობს კანონის მიზნებს.[40]

4. *საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი და დაუსაბუთებელი ხარჯვა* - 2018 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ თანხები გაიხარჯა მიზნობრივად. ამასთან, მრჩეველთა საბჭოს მიერ 2019 წლის 25 აპრილს მიღებულ გარე აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ ფინანსური ხარჯვა როგორც 2017,[41] ისე 2018 წელს[42] განხორციელდა მიზნობრივად.

5. *დისკრიმინაციული და უსამართლო ანაზღაურების სისტემა* - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მრჩეველთა საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და

[38] „ნათია კაპანაძის უნდობლობის გამოცხადების საკითხზე აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი“, პირდაპირი ეთერი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aINrCj, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[39] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xNyAbn, გვ. 24. ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[40] მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[41] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2X9yo0H, გვ. 75. ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[42] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xNyAbn, გვ. 104. ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

პრემიების ზღვრულ ოდენობებს. შესაბამისად, მმართველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტების მიხედვით ხდებოდა ანაზღაურება თანამშრომლებისთვის. ამასთანავე, საშტატო განრიგით[43] მაუწყებელს ჰყავს 76 თანამშრომელი, მაშინ, როდესაც დასაქმებულია 310 პირი. შესაბამისად, დირექტორს უწევს კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული დავალების შესასრულებლად, 76 საშტატო პირის გარდა, სხვებისთვისაც შრომითი კონტრაქტის გაფორმება.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უნდობლობის გამოცხადების პროცედურამ პროცედურული დარღვევებითაც ჩაიარა.[44] უნდობლობის გამოცხადების საკითხს კენჭი ეყარა ფარულად, რასაც ითვალისწინებს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.[45] თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული რეგლამენტის ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, რომლის 35[7] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მმართველთა საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ მრჩეველს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ხმა. აღსანიშნავია, რომ კანონი უნდობლობის გამოცხადების საკითხზე განსხვავებულ ჩანაწერს არ შეიცავს. ხოლო ზემოაღნიშნული ჩანაწერი პირდაპირ გამორიცხავს კენჭისყრის ფარულად ჩატარებას, ვინაიდან, თუ კენჭისყრა არ ჩატარდება ღია წესით, ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება, დადგინდეს ვის დაუჭირა მხარი თავმჯდომარემ. შესაბამისად, კანონის მოთხოვნები გამორიცხავს კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნები ეწინააღმდეგება კანონის დებულებებს, გამოყენებული უნდა იყოს უფრო მაღალი ნორმატიული იერარქიის მქონე - კანონის მოთხოვნები[46] და, „ნორმატიული აქტივების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარე, საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა კანონით და არა რეგლამენტით და კენჭისყრა უნდა ჩატარებულიყო ღიად.

2019 წლის 30 აპრილს ნათია კაპანაძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა 25 აპრილს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შეჩერებაც. ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში, კონკურსი არ შეაჩერა[47] და ამ დრომდე არ ჩაუნიშნავს საქმეზე სხდომა.

[43] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 11 ივნისის N01-01/13 გადაწყვეტილება (ოქმი N9), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xani0L, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[44] განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UMrFbk, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[45] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01-01-05 გადაწყვეტილებით (ოქმი N3) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JLGFjB, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის Nბს-815-807(კ-16) გადაწყვეტილება.
[47] ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 3 მაისის N3/201-19 განჩინება.

გიორგი კოხრეიძის თანამდებობაზე დანიშვნა

2019 წლის 25 აპრილს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭომ გამოაცხადა ვაკანსია დირექტორის თანამდებობაზე, რომელიც 31 მაისს საბჭომ ჩაშლილად გამოაცხადა, რადგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიღო ხმების საჭირო რაოდენობა.[48] აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობდა ტელევიზიის ამჟამინდელი დირექტორი გიორგი კოხრეიძეც.[49]

განმეორებითი კონკურსი მრჩეველთა საბჭომ გამოაცხადა 2019 წლის 3 ივნისს,[50] რომელშიც მონაწილეობას იღებდა გიორგი კოხრეიძეც,[51] მაგრამ, სათანადო ოდენობის ხმების ვერ მიღების გამო, კონკურსი ისევ ჩაიშალა.[52]

2019 წლის 15 ივლისს საბჭომ გამოაცხადა მესამე კონკურსი იმავე პირობებით,[53] სადაც მონაწილეობას იღებდა 8 კანდიდატი, მათ შორის, გიორგი კოხრეიძეც.[54] იმის გამო, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, აღნიშნული კონკურსიც ჩაიშალა[55] და 25 აგვისტოს გამოცხადდა ახალი კონკურსი.[56] ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა გიორგი კოხრეიძემ და, ამასთანავე, მოითხოვა ამ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება. ნაცვლად იმისა, რომ ფორმალური მოთხოვნების დაუცველობის გამო, ხარვეზი დაედგინა სარჩელისთვის,[57] სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი და შეაჩერა გასაჩივრებული აქტის მოქმედება.[58] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება და კონკურსი განახლდა.[59] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით,[60] კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა და დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი კოხრეიძე.

---

[48] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 31 მაისის N01-01/05 გადაწყვეტილება (ოქმი N10), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34jcvxh, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[49] საკონკურსო განაცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Xdlcrg, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[50] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N01-01/06 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bXdbv0, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[51] მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსის კანდიდატთა სია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rl0xxX, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[52] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N01-01/11 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V3Qm22, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[53] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 15 ივლისის N01-01/15 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c0dSDY, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[54] მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსის კანდიდატთა სია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aQfsI9, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[55] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს N01-01/18 (ოქმი N20) გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V2VLpZ, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[56] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 25 აგვისტოს N01-01/19 (ოქმი N21) გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V7VwKs, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[57] „გიორგი კოხრეიძის სარჩელზე სასამართლოს ხარვეზი უნდა დაედგინა“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34fs4Gz ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[58] ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის N3/467-2019 განჩინება.

[59] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: http://adjaratv.ge/files/shares/bordi/2525-1.pdf, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

[60] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N01-01/22 (ოქმი N27) გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rks56A, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განახლება

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს განახლების პროცესი, რომელიც წინ უსწრებდა დირექტორის არჩევას, წარიმართა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.[61] საბჭოს ხუთი წევრიდან ოთხს - ნატა იმედაიშვილს, ირაკლი დარცმელიძეს, გიორგი ირემაძეს და ბეჟან გობაძეს 2019 წლის ოქტომბერში ამოეწურა საბჭოს წევრობის ვადა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა დაემტკიცებინა ოთხი ახალი წევრი. კერძოდ, ფრაქცია ქართული ოცნება „მაჟორიტარების“ წარდგენილი კანდიდატი თამილა დოლიძე, ფრაქცია ქართული ოცნება „აჭარას“ წარდგენილი კანდიდატი სოსო სტურუა და დამოუკიდებელი დეპუტატის პეტრე ზამბახიძის მიერ წარდგენილი კანდიდატი თამარ წილოსანი,[62] ხოლო მეოთხე კანდიდატმა, დიანა ვაშაყმაძემ, რომელიც „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა გიორგი ცინცქილაძემ წარადგინა, ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.[63]

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 35[5] მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთაგან სამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციები, მათში შემავალ დეპუტატთა რაოდენობის პროპორციულად, ხოლო ორს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

[61] „აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევის პროცედურები კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Vj7vVF, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[62] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა, განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e5Dd0O, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[63] „უმაღლესმა საბჭომ აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 3 წევრი დაამტკიცა“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RfAxUL, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

საბჭოს დანარჩენი წევრების არანაკლებ ერთი მეოთხედი წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ასარჩევად.

საყურადღებოა, რომ მრჩეველთა საბჭოს მეხუთე წევრი, გიგა ჩხარტიშვილი, რომელსაც უფლებამოსილების ვადა არ გასვლია, არჩეული იყო „ქართული ოცნების“ კვოტით.[64] შესაბამისად, მმართველი პარტიის კვოტით მრჩეველთა საბჭოში აღმოჩნდა სამი წევრი, ხოლო ერთი კი - დამოუკიდებელი კანდიდატის მიერ წარდგენილი, ისე, რომ ოპოზიციას არ ჰყავდა წარდგენილი თავისი კანდიდატი იმ პროპორციის გათვალისწინებით, რომელსაც კანონი განსაზღვრავს. ოპოზიციის წარმოდგენილი კანდიდატი, გია ქარცივაძე, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 8 იანვარს აირჩია მრჩეველთა საბჭოში[65] და საბოლოოდ საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტდა ფრაქციების მიერ არჩეული ოთხი წევრითა და დამოუკიდებელი დეპუტატების მიერ წარმოდგენილი ერთი წევრით, რითაც დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები. შესაბამისად, 2019 წლის 25 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ თავისი კვოტით მრჩეველთა საბჭოში უნდა შეეყვანა არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი წევრი, რადგან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მას უკვე ჰყავდა დანიშნული ერთი წევრი და კიდევ ერთი წევრის კვოტა ეკუთვნოდა. შესაბამისად, 2019 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საბჭომ დაარღვია კანონის მოთხოვნები და მრჩეველთა საბჭო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დააკომპლექტა.

ნათია ზოიძის საქმე

ნათია ზოიძე 2019 წლის 10 აპრილს დაინიშნა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2019 წლის 19 აპრილს, დირექტორის იმპიჩმენტის შემდეგ, დაევალა დირექტორის მოვალეობის შესრულება. მის ფუნქციებში შედიოდა ტელევიზიის სამივე პლატფორმის (ვებგვერდი, რადიო, ტელევიზია) მართვა და სარედაქციო პოლიტიკაში მონაწილეობა, პროგრამული პრიორიტეტების შესრულებაზე პასუხისმგებლობა.

დირექტორის თანამდებობაზე გიორგი კოხრეიძის არჩევის შემდეგ, მან ღია ეთერის საშუალებით გააკეთა განცხადება ნათია ზოიძესთან დაკავშირებით და მის კეთილსინდისიერად საქმიანობაში ეჭვი შეიტანა. ამის შემდეგ დირექტორსა და მის მოადგილეს შორის შედგა შეხვედრა და, ნათია ზოიძის განმარტებით, მან მიიღო მითითება საინფორმაციო მიმართულებას ჩამოშორებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დირექტორისგან მუქარა მოისმინა.[66]

[64] „5-დან 3 ხმა ხელისუფლებას - ხარვეზები და კითხვები აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტებაში“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39MvMbu, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[65] „გია ქარცივაძე უმაღლესმა საბჭომ აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრად დაამტკიცა“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bWJ9aI, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[66]„რისი გასაჯაროებით ემუქრება მაუწყებლის დირექტორი მოადგილეს?“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rg3rnM, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლით გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, ნათია ზოიძემ პროკურატურას მიმართა.[67]

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობის ცვლილება

2020 წლის 19 თებერვალს მრჩეველთა საბჭომ დაამტკიცა[68] ახალი საშტატო ნუსხა და სახელფასო ბადე და ძალადაკარგულად გამოაცხადა 2019 წლის 21 ივნისს დამტკიცებული[69] საშტატო ნუსხა და სახელფასო ბადე. აღნიშნული ცვლილებით გაუქმდა ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის შტატი, რომელსაც იკავებდა მაია მერკვილაძე. ცვლილება შეეხო აგრეთვე ფინანსური სამსახურის მოადგილისა და საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობებს,[70] ამ უკანასკნელთან მიმართებით კი, რეალურად, მოხდა არა შტატის გაუქმება, არამედ შეეცვალა მხოლოდ სახელი და „შემოქმედებითი მიმართულების მოადგილის" ნაცვლად შტატს ეწოდა „შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი".

საშტატო ნუსხის განსაზღვრის თაობაზე საბჭოს გადაწყვეტილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყოს დასაბუთებული, ხოლო მითითებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. მოცემულ შემთხვევაში, გაურკვეველია, რა გარემოებათა კვლევას ან დასაბუთებას ეფუძნება ეს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ არ არის ჩატარებული საჭიროებათა კვლევა, არ შესწავლილა სამუშაოთა აღწერილობა და მაუწყებელში არ არსებობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

მაია მერკვილაძის შტატის გაუქმების შემდეგ, დირექტორმა, დისციპლინური გადაცდომის გამო, გაათავისუფლა სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი.[71] მაია მერკვილაძემ და შორენა ღლონტმა, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ საინფორმაციო სამსახურის ფუნქციონირებაზე, სამსახურებიდან გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივრეს სასამართლოში.[72]

---

[67] „ნათია ზოიძემ პროკურატურას მიმართა - საია", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V4R2nK, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[68] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის N01-01/03 (ოქმი N3) გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aT60nl, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.) ძალაში შევიდა 2020 წლის 24 თებერვლიდან.
[69] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 21 ივნისის N01-01/09 (ოქმი N13) გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JOYNsB, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[70] „აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭომ საშტატო განრიგის ცვლილება დაამტკიცა", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V4hy0y, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[71] „აჭარის მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39GYhHK, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[72] „ბაკურიძე, მერკვილაძე და ღლონტი მაუწყებლის დირექტორს სასამართლოში უჩივიან – EMC", სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XhW7Mj, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

თეონა ბაკურიძის ეთერიდან ჩამოშორება და გათავისუფლება

2020 წლის 6 მარტს თეონა ბაკურიძე, ტელევიზიის დირექტორის N02-05/27 გადაწყვეტილებით, ეთერიდან ჩამოაშორეს და ამ ნაწილში შეუჩერეს შრომითი უფლებამოსილების განხორციელება.[73] შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,[74] დისციპლინური სანქციის სახით განსაკუთრებულ შემთხვევებში დირექტორს შეუძლია შეზღუდოს დასაქმებულის დაშვება კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო დისციპლინური სახდელის გამოყენებამდე და მას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.[75]

2019 წლის 13 მარტს თეონა ბაკურიძე, დისციპლინური გადაცდომის დადასტურების გამო, ტელევიზიის დირექტორმა გაათავისუფლა სამსახურიდან.[76] ბრძანებაში საუბარია თეონა ბაკურიძის მხრიდან სავარაუდო გადაცდომის ჩადენაზე, თუმცა არაა დასაბუთებული, რომელ მტკიცებულებას დაეყრდნო ამ შემთხვევაში დირექტორი. გაუგებარია გამოიკვლიეს თუ არა ყველა მტკიცებულება, გამოკითხეს თუ არა ფაქტის შემსწრე ყველა მოწმე და ჰქონდა თუ არა თეონა ბაკურიძეს სათანადო დრო და შესაძლებლობა მტკიცებულებების წარსადგენად. ბრძანება არ არის დასაბუთებული ასევე სახდელის ნაწილში. კერძოდ, გათავისუფლება უნდა იყოს უკანასკნელი ზომა[77] და შეუძლებელი უნდა იყოს სახდელის გამოყენებით დისციპლინის გამოსწორება, რა კრიტერიუმსაც ეს ბრძანება ასევე ვერ აკმაყოფილებს.

თეონა ხარაბაძის საქმე

2020 წლის 23 მარტს ტელევიზიის კორესპონდენტმა თეონა ხარაბაძემ დირექტორისგან მიიღო შეტყობინება,[78] რომლის თანახმად, 25 მარტიდან უფლებამოსილება უნდა განეხორციელებინა ქალაქ ქუთაისში, სადაც აჭარის ტელევიზიას ოფისი არ აქვს.[79]

სამუშაო ადგილი, ანუ ის ადგილი, სადაც დასაქმებული ფაქტობრივად ახორციელებს თავის სამუშაოს, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების ერთერთი არსებითი პირობაა. იმ პირობებში, როდესაც სამუშაო ფაქტობრივად არ სრულდება ქუთაისში და მისი შესრულების ადგილია ბათუმი, ხოლო დამსაქმებელს აღარ აქვს ქუთაისში სამუშაო სივრცე, ის ვერ ჩაითვლება სამუშაო ადგილად. ამასთანავე, თეონა ხარაბაძესთან დადებული

[73] „აჭარის ტელევიზიაში თეონა ბაკურიძეს უფლებამოსილება შეუჩერეს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UPPejt, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[74] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2015 წლის 20 ივლისის N 02-03/ 10 ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შრომის შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JG5jSy, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[75] „აჭარის ტელევიზიის დირექტორის გადაწყვეტილება ცალსახად უკანონოა“ – საია და ეთიკის ქარტია“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c0SL4o, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[76] „აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციოს წამყვანი თეონა ბაკურიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aOdJmD, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივნისის Nას-1327-2018 გადაწყვეტილება.
[78] თეონა ხარაბაძის პოსტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JKluyh, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.
[79] „ბათუმიდან ქუთაისის არარსებულ ბიუროში - დირექტორის დაგეგმილი მორიგი ცვლილება აჭარა TV-ს სარედაქციო გუნდში“, სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39Sdki4, ბოლო ვიზიტი 01.04.2020.

ბოლო ხელშეკრულებით, სამუშაო ფაქტობრივად სრულდებოდა ბათუმში და ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა სურვილი ვერ იქნებოდა ისეთ ადგილას სამუშაოს შესრულება, სადაც დამსაქმებელს არ აქვს შესაბამისი ოფისი. სწორედ ბათუმი ითვლება სამუშაო ადგილად, ხოლო ქუთაისში დასაქმებულის გაგზავნა, თუ ეს არ არის მივლინება, უნდა ჩაითვალოს შრომითი პირობების არსებითად შეცვლად,[80] რაც დამსაქმებელს ცალმხრივად არ შეუძლია.[81]

დასკვნა

დღემდე მაუწყებელში განვითარებულ მოვლენათა ჯაჭვი ცხადყოფს, რომ პროცესები არხის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას ემსახურება. საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირებული პირების ტელევიზიიდან ჩამოშორება ეტაპობრივად მიმდინარეობს. ზოგმა ზეწოლის შედეგად დატოვა მაუწყებელი, ზოგი კი მენეჯმენტის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით გათავისუფლდა.

სარედაქციო პოლიტიკასთან ბრძოლა საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირებული პირების მიმართ დაუსაბუთებელი, უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილებებით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამართლებრივი დავის დაწყებისა, შედეგი არც ერთ საქმეზე არ დამდგარა.

[80] შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[81] შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.